

სტუდენტურ საქმეთა დებულება

მუხლი 1. სუ-ის სტუდენტური კლუბი

- 1.1. სუ-ის სტუდენტური კლუბი (შემდგომში - კლუბი) წარმოადგენს საერთო ინტერესის/მიზნების ირგვლივ სტუდენტების ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომელიც იქმნება და ფუნქციონირებს ამ დებულებით დადგენილი წესების დაცვით.
- 1.2. კლუბი უნივერსიტეტისგან ავტონომიურია. მისი მართვა ხორციელდება კლუბის დებულებით დადგენილი წესით.
- 1.3. კლუბს საკუთარი აქტივობების დაფინანსების მიზნით შეუძლია მიმართოს უნივერსიტეტს. დაფინანსებაზე მიმართვის და მიღების წესი რეგულირდება წინამდებარე დებულებით.
- 1.4. კლუბზე შესაძლოა ასიგნირებული იყოს უნივერსიტეტის ქონება.

მუხლი 2. სტუდენტური კლუბის დაფუძნება რეგისტრაცია/გაუქმება

- 2.1. კლუბის დაფუძნება შეუძლია სუ-ის აქტიური სტატუსის მქონე არანაკლებ 3 სტუდენტიდან შემდგარ გუნდს.
- 2.2. კლუბის რეგისტრაცია ხდება სუ-ის ონლაინ სისტემაში, „ჩემი UG“ ონლაინ-სარეგისტრაციო ფორმის მეშვეობით.
- 2.3. კლუბის რეგისტრაციას/გაუქმებას ახდენს კურსდამთავრებულთა და სტუდენტურ საქმეთა ცენტრი (შემდგომში - ცენტრი), დამფუძნებელთა მიერ ამ დებულებით განსაზღვრული წესით შევსებული მიმართვის საფუძველზე.
- 2.4. რეგისტრაციისას განმცხადებელი წარადგენს კლუბის დებულებას, რომელიც უნდა მოიცავდეს:
 - 2.4.1. კლუბის სახელს (კლუბის სახელი უნდა შეიცავდეს სიტყვებს: „საქართველოს უნივერსიტეტის/შესაბამისი მიმართულების/კლუბი“ ან სიტყვებს: „საქართველოს უნივერსიტეტის კლუბი /სახელი/“
 - 2.4.2. ინფორმაციას დამფუძნებლების შესახებ (სახელი, გვარი, პირადი ნომერი)
 - 2.4.3. ინფორმაციას კლუბის ძირითადი მიზნების/საქმიანობის სფეროს შესახებ
- 2.5. კლუბის სარეგისტრაციო დოკუმენტების წარდგენის ვადებია ყოველი თვის 25-30/31 რიცხვები. სარეგისტრაციო დოკუმენტების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას კლუბის რეგისტრაციის ან მასზე უარის თქმის შესახებ, რა შემთხვევაშიც განაცხადი შენიშვნებით უბრუნდება განმცხადებელს.
- 2.6. კლუბის გაუქმებას ახდენს ცენტრი იმ შემთხვევაში, თუ კლუბს უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში არ განუხორციელებია რაიმე აქტიობა ან არ წარუდგენია პროექტი საგრანტო კონკურსზე

მუხლი 3. სტუდენტური კლუბის დამფუძნებელი

- 3.1. კლუბის დამფუძნებელი შეიძლება იყოს მხოლოდ სუ-ში აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.
- 3.2. კლუბის დამფუძნებელი არ შეიძლება იყოს სხვა კლუბის დამფუძნებელი ან პრეზიდენტი.
- 3.3. კლუბის დამფუძნებელი არ შეიძლება იყოს სტუდენტური თვითმმართველობის წევრი.
- 3.4. კლუბის დამფუძნებლის (იმ შემთხვევაში თუ დამფუძნებელი ბაკალავრია) უკანასკნელი სემესტრის GPA არ უნდა იყოს 1.00 -ზე ნაკლები (GPA-ის გამოთვლის წესი გაწერილია საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულებებით).
- 3.5. ამ მუხლის პუნქტებით განსაზღვრული წესის დარღვევის შემთხვევისას კლუბი ვალდებულია შეუწყვიტოს პირს დამფუძნებლის უფლება-მოვალეობები ფაქტის გამოვლენიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

მუხლი 4. სტუდენტური კლუბის წევრი

- 4.1. სტუდენტური კლუბის წევრი შეიძლება იყოს სუ-ის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, კურსდამთავრებული ან თანამშრომელი.
- 4.2. პირი შეიძლება იყოს ერთდროულად არაუმეტეს 3 კლუბის წევრი.

მუხლი 5. სტუდენტური კლუბის მენტორი

- 5.1. სტუდენტური კლუბის მენტორი არის სუ-ის აკადემიური პერსონალი, რომელიც ჩართულია კლუბის საქმიანობაში.

მუხლი 6. სტუდენტური კლუბის ადმინისტრირება

- 6.1. კლუბს ხელმძღვანელობს კლუბის პრეზიდენტი.
- 6.2. კლუბის ადმინისტრაცია შედგება კლუბის პრეზიდენტისგან და კლუბის დებულებით განსაზღვრული სხვა ადმინისტრაციული ერთეულებიდან.
- 6.3. მენეჯმენტის სტრუქტურა, მართვის სხვა ორგანოები, მათი შექმნის/საქმიანობის წესი და უფლება-მოვალეობები განისაზღვრება კლუბის დებულებით.
- 6.4. კლუბის ადმინისტრაცია არ შეიძლება წარმოადგენდეს სხვა კლუბის ადმინისტრაციასაც.
- 6.5. კლუბის ადმინისტრაციაში არ შეიძლება იყოს სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი.

მუხლი 7. სტუდენტური კლუბის რეიტინგი

- 7.1. კლუბის რეიტინგი დგინდება ვარსკვლავების დაგროვების სისტემით.
- 7.2. კლუბს ყოველსემესტრულად ვარსკვლავს ანიჭებს კურსდამთავრებულთა და სტუდენტურ საქმეთა ცენტრი.
- 7.3. ვარსკვლავური რეიტინგით განისაზღვრება კლუბის სემესტრული ბიუჯეტის ნაზრდი.
- 7.4. ვარსკვლავები გაიცემა 3 მიმართულებით:

- 7.4.1. ყველაზე აქტიური კლუბი (სემესტრში განხორციელებული პროექტების რაოდენობა)
 - 7.4.2. ყველაზე მასშტაბური კლუბი (სემესტრში განხორციელებულ პროექტებში ჩართული სტუდენტების რაოდენობა)
 - 7.4.3. კლუბთაშორისი საერთო პროექტის მონაწილე კლუბი (სემესტრში სხვა კლუბებთან ერთად განხორციელებული პროექტების რაოდენობა)
 - 7.4.4. ყველაზე საინტერესო პროექტის განმახორციელებელი კლუბი (დგინდება სტუდენტური პროექტების საკონკურსო კომისიის მიერ)
- 7.5. ვარსკვლავური სისტემით გათვალისწინებული თანხობრივი ნამატი ცვალებადია და დამოკიდებულია უნივერსიტეტის წლიურ/სემესტრულ ბიუჯეტზე

მუხლი 8. სტუდენტური კლუბის ქონება

- 8.1. სტუდენტურ კლუბზე შესაძლოა ასიგნირებული იყოს უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მატერიალური ქონება.
- 8.2. კლუბზე ასიგნირებული მატერიალური ქონების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელია კლუბი.
- 8.3. მატერიალური ქონების დაზიანების/განადგურების შემთხვევაში კლუბის ადმინისტრაცია ვალდებულია ფაქტის შესახებ აცნობოს მატერიალური რესურსების მართვის სამსახურს.
- 8.4. კლუბის გაუქმების შემთხვევაში კლუბზე ასიგნირებული ქონების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებლობა უბრუნდება მატერიალური რესურსების მართვის სამსახურს.

მუხლი 9. კლუბის ვალდებულებები პროექტის/აქტიობის განხორციელებისას

- 9.1. კლუბი ღონისძიებებს ახორციელებს პროფილიდან გამომდინარე, თემატურად. ყველა აქტიობაში უნდა ფიგურირებდეს სუ.
- 9.2. ნებისმიერი ღონისძიების ბენეფიციარი უნდა იყოს სუ-ის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი ან კურსდემთავრებული ან აბიტურიენტი ან თანამშრომელი. თუ პროექტის/ღონისძიების მოსარგებლე სხვა პირია (ზემოთ ჩამოთვლილთაგან არც ერთი), წარდგენილ პროექტში ან განაცხადში აქტიობის შესახებ უნდა განისაზღვროს მათი ვინაობა (ზოგადი კრებსითი სახელის ფორმით) და დაახლოებითი რაოდენობა.
- 9.3. რამდენიმე კლუბს შეუძლია განახორციელოს საერთო პროექტი.
- 9.4. ღონისძიების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით კლუბი ვალდებულია 2 სამუშაო დღით ადრე მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია ცენტრს.
- 9.5. საჯარო ლექციის ჩატარების მიზნით პირის მოწვევამდე კლუბი ვალდებულია აქტიობა შეათანხმოს ცენტრთან და მხოლოდ თანხმობის შემთხვევაში მოიწვიოს პირი. საპარლამენტო/საპრეზიდენტო/მუნიციპალურ არჩევნებამდე 6 თვით ადრე აკრძალულია პოლიტიკური პარტიის წევრის ან პოლიტიკური თანამდებობის პირის მოწვევა.

- 9.6. კლუბი არ არის უფლებამოსილი მოიწვიოს სხვადასხვა მედია საშუალება ან გააშუქოს სხვადასხვა მედია საშუალებებით ინფორმაცია მის მიერ დაგეგმილი პროექტის/ღონისძიებების შესახებ.

მუხლი 10. სტუდენტური პროექტების კონკურსი

- 10.1 სტუდენტური პროექტების კონკურსი (შემდგომში - კონკურსი) ტარდება ყოველ პარასკევს (სუ-ის შინაგანაწესით დადგენილი უქმე დღეების გამოკლებით).
- 10.2 კონკურსზე გადაწყვეტილების მიღება (დაფინანსება, დაფინანსებაზე უარის თქმა) ხდება საკონკურსო კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.
- 10.3 კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს რეგისტრირებულ სუ-ის კლუბს.
- 10.4 კლუბი კონკურსზე პროექტს წარადგენს მხოლოდ „ჩემი UG“-ის მეშვეობით, ცენტრის მიერ დადგენილი ფორმით.
- 10.5 სტუდენტური პროექტების საკონკურსო კომისიის წევრები არიან:
- 10.5.1. კურსდამთავრებულთა და სტუდენტურ საქმეთა ცენტრის უფროსი
 - 10.5.2. მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი
 - 10.5.3. სკოლის წარმომადგენელი
 - 10.5.4. კლუბის მენტორი
 - 10.5.5. სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი

მუხლი 11. საკონკურსო პროექტისადმი მოთხოვნები

- 11.1. საკონკურსო პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
- 11.1.1. საორგანიზაციო ჯგუფის წევრების რაოდენობა - არანაკლებ 3 ადამიანი
 - 11.1.2. ლოგიკური კავშირი მოთხოვნილ ბიუჯეტსა და ღონისძიების მასშტაბურობას შორის
 - 11.1.3. უსაფრთხოების გარანტიები
 - 11.1.4. მიზანშეწონილობა - დროულობა, რელევანტურობა, სარგებელი
 - 11.1.5. ჩართულობის მასშტაბი - ღონისძიებას უნდა გააჩნდეს არანაკლებ 15 პოტენციური მოსარგებლე
- 11.2. პროექტი, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან არ არის სრულყოფილად შევსებული, არ განიხილება. განუხლიველი პროექტი, ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით, უბრუნდება ინიციატორ კლუბს. ცენტრის რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ კლუბს უფლება აქვს განმეორებით წარადგინოს პროექტი საგრანტო კონკურსში.
- 11.3. საკონკურსო პროექტის შეფასებისას პრიორიტეტებია:
- 11.3.1. კლუბის რეიტინგი (გამოხატული ვარსკვლავური ქულით)
 - 11.3.2. კლუბის დამფუძნებლების, მენეჯმენტის და კლუბის წევრების აკადემიური მოსწრება
 - 11.3.3. კლუბის გამოცდილება ანალოგიური პროექტების განხორციელებაში
 - 11.3.4. კლუბის მენტორის რეკომენდაცია

- 11.3.5. სტუდენტებისთვის და საუნივერსიტეტო ცხოვრებისთვის სასარგებლო ღონისძიებები (შემეცნებითი, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობი და ა.შ.)
- 11.3.6. ხარჯეფექტურობა (ღონისძიების მასშტაბი მოთხოვნილ რესურსთან მიმართებით)

მუხლი 12. სტუდენტური პროექტების დაფინანსების ფონდი

- 12.1. სტუდენტური პროექტების დაფინანსების ფონდის მოცულობა განისაზღვრება სუ-ის წლიური ბიუჯეტით.

მუხლი 13. სტუდენტური თვითმმართველობა

- 13.1. სუ-ის ადმინისტრაცია არ ერევა სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.
- 13.2. უნივერსიტეტი ხელს უწყობს თვითმმართველობას საკუთარი მიზნების შესრულებაში.
- 13.3. სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით შექმნილ თვითმმართველ ერთეულს.

მუხლი 14. თვითმმართველობის ჩამოყალიბება

- 14.1. ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე უნივერსიტეტში იქმნება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების (საგანმანათლებლო პროგრამების) მიხედვით არჩეული სტუდენტური თვითმმართველობები.
- 14.2. ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებში არჩეული სტუდენტური თვითმმართველობების ერთობლიობა არის უნივერსიტეტის თვითმმართველობა, რომელიც შეიმუშავებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას.
- 14.3. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი დებულების შესაბამისად:
 - 14.3.1. უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უნივერსიტეტის მართვაში
 - 14.3.2. ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას
 - 14.3.3. ირჩევს წარმომადგენლებს უნივერსიტეტის მართვის დებულებით განსაზღვრულ მართვის კოლეგიურ ორგანოებში
 - 14.3.4. უფლებამოსილია შეიმუშაოს წინადადებები უნივერსიტეტის მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს შესაბამის ორგანოს.
- 14.4. განახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 15. სტუდენტების მონაწილეობა უნივერსიტეტის მართვაში

- 15.1 უნივერსიტეტის მართვაში სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით სტუდენტების მონაწილეობა გათვალისწინებულია უნივერსიტეტის შემდეგ მართვის მუდმივმოქმედ და დროებით კოლეგიურ ორგანოებში/კომისიებში:
 - 15.1.1. სკოლის საბჭო

- 15.1.2. დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საბჭო (პგს)
- 15.1.3. პროგრამის აკრედიტაციის საბჭო (პას)
- 15.1.4. დისციპლინური კომისია
- 15.1.5. სოციალურ საქმეთა კომისია
- 15.1.6. სტუდენტური პროექტების საკონკურსო კომისია
- 15.2 დისციპლინურ კომისიასა და სოციალურ საქმეთა კომისიის შემადგენლობაში შედის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ შერჩეული 1 სტუდენტი წევრი.
- 15.3 სკოლის საბჭო, პგს და პას სტუდენტების წარმომადგენლისთვის განკუთვნილ ვაკანტურ ადგილზე 1 სემესტრის ვადით შერჩევას ახდენს სტუდენტური თვითმმართველობის მიერ წარდგენილი 3 კანდიდატიდან.
- 15.4 სკოლის საბჭოს, პგს-ის და პას-ის წევრობის სტუდენტი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
 - 15.4.1. აქტიური სტუდენტის სტატუსი
 - 15.4.2. მინიჭებული კრედიტების რაოდენობა - არანაკლებ 60 ECTS
 - 15.4.3. არ უნდა იყოს დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტი
 - 15.4.4. უკანასკნელი წლის GPA - არა ნაკლებ 3
- 15.5 თითოელი კანდიდატი კოლეგიურ ორგანოს წარუდგენს სამოტივაციო წერილს და გაივლის გასაუბრებას მის წინაშე. საბჭო კენჭს უყრის წარდგენილი კანდიდატების დამტკიცებას და ამტკიცებს ერთ კანდიდატს.

მუხლი 16. კურსდამთავრებულთა და სტუდენტურ საქმეთა ცენტრი

16.1. ცენტრის მისიაა:

სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან მუდმივი კონტაქტის შენარჩუნება და მათი ჩართვა მიმდინარე საუნივერსიტეტო ცხოვრებაში; საინტერესო სტუდენტური ცხოვრების: სტუდენტთა კურიკულუმგარე სპორტული, კულტურული, სათავგადასავლო ღონისძიებების და ინიციატივების, ასევე თვითმმართველი სტუდენტური კლუბების ხელშეწყობა; სტუდენტურ თვითმმართველობასა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შორის მეკავშირეობა

16.2. ცენტრი თავისი უფლება-მოსილების ფარგლებში:

- 16.2.1. ხელს უწყობს სტუდენტური კლუბების ჩამოყალიბებას წინამდებარე დებულების მიხედვით. რეგისტრაციამდე კონსულტაციებს უწევს კლუბის დამფუძნებლებს
- 16.2.2. ხელს უწყობს კლუბის გამართულ, ნაყოფიერ და აქტიურ ფუნქციონირებას
- 16.2.3. სტუდენტური ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას აწვდის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს, ამ სამსახურთან შეთანხმებით მართავს ცენტრის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებს
- 16.2.4. კოორდინირებას უწევს სტუდენტური კლუბების პროექტებსა და ღონისძიებებს

- 16.2.5. მონიტორინგს უწევს უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხების მიზნობრივ ხარჯვას. აღრიცხავს სტუდენტური კლუბების ღონისძიებებს და უზრუნველყოფს მათ შეფასებას
- 16.2.6. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურთან კოორდინაციით ორგანიზებას უწევს საორიენტაციო დღეებს
- 16.2.7. ორგანიზებას უკეთებს სტუდენტური პროექტების საკონკურსო კომისიის შეკრებას და კონკურსების ჩატარებას ამ დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად
- 16.2.8. საჭიროებისამებრ ანახლებს კლუბის აქტივობის შესაბამის ლინკს უნივერსიტეტის ვებ გვერდზე
- 16.2.9. პოპულარიზაციას უწევს სამსახურის სხვა სერვისებს და ხელს უწყობს სტუდენტური აქტივობების მოტივაციას
- 16.2.10. პროექტის დასაგეგმად და მასზე სამუშაოდ ცენტრი ათავსებს კლუბს უნივერსიტეტის რომელიმე ოთახში ან აუდიტორიაში. ცენტრს 4 დღით ადრე უნდა ეცნობის შესაბამისი საუნივერსიტეტო სივრცით სარგებლობის მიზანი, დრო და სტუდენტების ოდენობა
- 16.2.11. მონიტორინგს უწევს განხორციელებული პროექტების რეპორტის განთავსებას კლუბების გვერდზე და ასევე სტუდენტების გვერდზე
- 16.2.12. ახორციელებს მონიტორინგს ყველა პროექტზე და ადგენს სტუდენტთა ჩართულობას პროექტის განხორციელებაში. ეს ინფორმაცია საბოლოოდ განთავსდება თითოეული სტუდენტის გვერდზე
- 16.2.13. ახორციელებს კომუნიკაციას სტუდენტურ თვითმმართველობასთან, აწვდის ინფორმაციას ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოში (სკოლის საბჭო; დსპ-ის განვითარების საბჭო) და პროგრამის აკრედიტაციის საბჭოში ვაკანტურ ადგილების შესახებ
- 16.2.14. კლუბის მიერ სტუდენტური პროექტის განხორციელებისას უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის და საჭირო ინვენტარის (აუდიტორია, დარბაზი, აპარატურა აღჭურვილობა, საოფისე მასალები და სხვ.) მობილიზებას
- 16.2.15. არეგისტრირებს და აუქმებს კლუბს ამ დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად
- 16.2.16. ორგანიზებას უწევს საუნივერსიტეტო დღესსწაულებზე სტუდენტების აქტიობას, სტუდენტური ფესტივალების (Summer Fun და ა.შ.) ჩატარებას
- 16.2.17. ორგანიზებას უწევს სტუდენტური ბანაკების მოწყობას
- 16.2.18. ამ დებულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისას და დებულებით გაწერილი საქმიანობის წესის დარღვევისათვის სტუდენტურ გაერთიანებას აკისრებს ამ დებულებით გათვალისწინებულ სანქციას

მუხლი 17. სანქციები

- 17.1. კლუბის მიერ ამ დებულებით დადგენილი ვალდებულებების უხეში დარღვევა, მათ შორის, კლუბის სარეგისტრაციო მოთხოვნების დაუცველობა, გამოყოფილი რესურსის არამიზნობრივი

ხარჯვა, საპროექტო დოკუმენტაციაში განზრახ არასწორი ინფორმაციის შეტანა, იწვევს შესაბამის სანქციას.

17.2. კლუბის მიერ ამ დებულებით დადგენილი ვალდებულებების დარღვევისას ცენტრის მიერ შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგი სანქციები:

17.2.1. გაფრთხილება

17.2.2. კლუბისათვის საქმიანობის უფლების შეჩერება ერთიდან ექვს თვემდე ვადით

17.2.3. კლუბის გაუქმება

17.3. პუნქტით გათვალისწინებული სანქციის დაკისრებისას, სანქციის მოქმედების ვადაში, კლუბის დამფუძნებელს უფლება არ აქვს დააფუძნოს სხვა კლუბი.